



სსე – საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

შრომის მართვის პროცედურა

ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება ელექტროენერგეტიკული ინტეგრაციის და განახლებადი ენერჯის პროგრამის ფარგლებში

(P179950)

ნოემბერი 2023

სარჩევი

1. პროექტში დასაქმებულთა შრომის გამოყენების მიმოხილვა**Error! Bookmark not defined.**
2. ძირითადი პოტენციური შრომითი რისკების შეფასება.....**Error! Bookmark not defined.**
3. შრომის კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა: პირობები და დებულებები **Error! Bookmark not defined.**
4. შრომის კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა: ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება 10
5. პასუხისმგებელი პერსონალი**Error! Bookmark not defined.**
6. პოლიტიკა და პროცედურები**Error! Bookmark not defined.**
7. დასაქმების ასაკი.....**Error! Bookmark not defined.**
8. პირობები და დებულებები.....**Error! Bookmark not defined.**
9. საზღვაო შრომის კონვენციის მოკლე მიმოხილვა (2006, შესწორებული 2019 წელს) 21
10. საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი**Error! Bookmark not defined.**
11. შესყიდვის მართვა.....**Error! Bookmark not defined.**
12. ძირითადი მომწოდებლები**Error! Bookmark not defined.**

1. პროექტში დასაქმებულთა შრომის გამოყენების მიმოხილვა

სსე-ს და პროექტის მიმოხილვა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის ერთ-ერთი მსხვილი მფლობელია. სსე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 4 357 კმ. სიგრძის ელექტროგადამცემ ხაზებსა და 93 ქვესადგურს. კომპანია არ აწარმოებს ელექტროენერჯიას და არ აწვდის ელექტროენერჯიას პირდაპირ მომხმარებლებს. ის ახორციელებს ელექტროენერჯის გადაცემას ჰიდრო, თბო და ქარის ელექტროსადგურებიდან ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიებამდე („თელმიკო“, „ეპ ჯორჯია მიწოდება“) და პირდაპირ მომხმარებლებამდე (მსხვილი საწარმოები). გამანაწილებელი კომპანიები ელექტროენერჯიას აწვდიან საბოლოო მომხმარებელს, ხოლო პირდაპირი მომხმარებლები მოიხმარენ საკუთარი მიზნებისთვის.

სსე-ს პასუხისმგებლობები მოიცავს საქართველოს ენერჯისისტემის საერთო კოორდინაციას და ელექტროენერჯის მიწოდების და მოხმარების დაბალანსებას უწყვეტი და საიმედო ენერჯომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით. სსე აქტიურად მუშაობს ელექტროენერჯის გადაცემის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, არსებული გადამცემი ხაზების რეკონსტრუქციისა და ახალი ხაზების მშენებლობის გზით.

სსე-ში ამჟამად მთლიანობაში მუშაობს 1636 თანამშრომელი, მათგან 22.5% ქალია¹.

ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ამჟამად განიხილება გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმაში 2023-2033 (TYNDP) შესატანად, არის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი (საქართველო-რუმინეთის ელექტროგადამცემი და ციფრული ურთიერთდამაკავშირებელი ხაზის მშენებლობის პროექტი). აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს სამხრეთ კავკასიის (SC) ქვეყნებს და რუმინეთს. კერძოდ, ელექტროკაბელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით რუმინეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (SEE) ელექტროენერჯის ბაზრის საათობრივი ფასების და ელექტროენერჯის იმპორტის გათვალისწინებით ზამთარში კონკურენტული ტარიფებით, რაც შეამცირებს არსებულ ძვირადღირებულ იმპორტზე და სითბურ გენერაციაზე დამოკიდებულებას.

ინტერკონექციის პროექტი ასევე ხელს შეუწყობს უფრო ფართო მზის ფოტოელექტრო ენერჯის (PV) და ქარის სიმძლავრის ინტეგრაციას რუმინეთში, ევროპის ახალი მწვანე ენერჯის შეთანხმების გათვალისწინებით, რომელიც იძლევა კონკურენტუნარიანი

¹ 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით

ტარიფების რეზერვების შესაძლებლობას აღნიშნული ცვალებადი ელექტროენერჯის წყაროებისთვის. ინტერკონექციის პროექტი, ასევე, სომხეთს მისცემს განახლებადი ენერჯის (RE) ექსპორტის შესაძლებლობას ჰიდრო და მზარდი მზის ფოტოელექტრო ენერჯიდან (PV) მიღებული ელექტროენერჯის საფუძველზე მზის ფოტოელექტრო ენერჯის (PV) მასშტაბების გაფართოების მიმდინარე ამბიციური პროგრამის გათვალისწინებით. აზერბაიჯანს შეეძლება შესთავაზოს გაზის გამოყენებით მიღებული თერმული ელექტროენერჯია, რაც ნახშირზე დაფუძნებული წარმოების შეცვლის შესაძლებლობას იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შესაბამისად ხელს შეუწყობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ენერჯოსექტორის სექტორის დეკარბონიზაციას.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი (OFC) გაზრდის ფართო სპექტრის მონაცემების გადაცემას და ხელს შეუწყობს ფასების შემცირებას საქართველოში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, ასევე სატრანზიტო გადაცემიდან შემოსავლებს მისცემს ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიის და სამხრეთ აზიის ქვეყნებს. ასევე, ხელს შეუწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) დარგის შემდგომ განვითარებას, ზოგ ქვეყანაში მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, სადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინდუსტრია მეტად სწრაფად გაფართოვდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. პროექტის უნიკალური მასშტაბის გამო, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი (OFC) შეიძლება გამოყენებული იქნეს ჰიბრიდული ელექტრო-სატელეკომუნიკაციო კაბელის ან პარალელური კაბელის ფარგლებში, ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთებულობიდან გამომდინარე.

პროექტი მოიცავს სამ ეტაპს:

ეტაპი 1–ხელს შეუწყობს მოსამზადებელ კვლევებს, ტექნიკურ დახმარებას (TA) და შესაძლებლობების განვითარებას, მათ შორის მთავრობათაშორისი კოორდინაციისა და გადაწყვეტილების მიღების ადეკვატური ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბებას;

ეტაპი 2– დააფინანსებს გადამცემი ქსელის გაძლიერებას საქართველოში (და სხვა ქვეყნებში, შესაბამისი მთავრობების მოთხოვნის შემთხვევაში) წყალქვეშა კაბელთან დაკავშირების შესაძლებლობის უზრუნველყოფით.

ეტაპი 3– სხვა დააფინანსებლელთან ერთად, დააფინანსებს წყალქვეშა კაბელის საბოლოო მშენებლობას, თუ ის გაგრძელდება. ეს დოკუმენტი ძირითადად ფოკუსირებულია პროექტის 1-ელ ეტაპზე. მოსალოდნელია რომ, რამდენიმე ქვეყნის ენერჯეტიკული პროექტებისთვის მომზადდება რეგიონული ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და სპეციალიზებული შეფასება და, რაც მთავარია, ჩატარდება შავი ზღვის ფსკერის გეოფიზიკური და გეოტექნიკური გამოკვლევები, რისთვისაც საჭიროა სპეციალიზებული გემების შემოყვანა. საქართველო-რუმინეთის ურთიერთდამაკავშირებელი პროექტი ტრანსნაციონალური შეთანხმების ნაწილია და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი (ESF) გავრცელდება პროექტში ჩართულ ყველა ქვეყანაზე. წყლის აკვატორიაზე და გემებზე ასევე გავრცელდება 2006 წელს მიღებული კოდექსი საზღვაო ნაოსნობაში შრომის ნორმების შესაბამისობის კონვენციის შესახებ.

პროექტში დასაქმებულთა რაოდენობა

მოცემულ ეტაპზე პროექტზე მომუშავე პირთა ზუსტი რაოდენობა (რომლებიც დაქირავებული იქნება პროექტთან დაკავშირებით) უცნობია პროექტის 1-ელ ეტაპზე. სსე-ს პერსონალის გარდა, გეოლოგიური, გეოფიზიკური და გეოტექნიკური კვლევების ჩასატარებლად, რაც საჭიროებს სპეციალურ გემებსა და პერსონალს - დაქირავებული იქნება შესაბამისი კომპანია. 1-ელი ფაზის ფარგლებში ასევე მომზადდება გარემოსა და სოციალურ საკითხებზე ზემოქმედების შეფასება (ESIA) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) დოკუმენტი. დასაქმებულთა რაოდენობა დადგინდება ყველა შესაბამისი პროცესის დასრულების შემდეგ. ანალოგიური წესი ეხება სამუშაოს ტიპს და ეკიპაჟების შემადგენლობას.

მოთხოვნები სამუშაოს ვადებთან დაკავშირებით: სავარაუდოდ, ზღვის ფსკერის კვლევები გაგრძელდება მინიმუმ 2024 წლის ბოლომდე. ამის შემდეგ მოკლე დროში ხელმისაწვდომი იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ESIA) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) დოკუმენტი.

სავარაუდოდ, პროექტში მონაწილეობას მიიღებს შემდეგი კატეგორიის დასაქმებულები, როგორც განსაზღვრულია ESS2 საფუძველზე:

ხელმძღვანელი მუშაკები: ხელმძღვანელობაში შესაძლოა შედიოდეს პროექტის მენეჯერები და ზედამხედველები, რომლებიც სსე-ს თანამშრომლები არიან. ხელმძღვანელი თანამშრომლების რაოდენობა არ გადააჭარბებს 20 პერსონალს საერთაშორისო ინტერკონექციის დეპარტამენტის, საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის, ტექნიკური სამსახურის, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების და განსახლების დეპარტამენტიდან და იურიდიული განყოფილებიდან (საჭიროების შემთხვევაში). შეფასების მიხედვით, ხელმძღვანელ თანამშრომელთა შემადგენლობაში შედიან სსე-ს სხვადასხვა დეპარტამენტებში მომუშავე თანამშრომლები, რომლებიც შეირჩნენ პროექტზე სამუშაოდ და შესაძლოა დამატებულ იქნას 3-5 ახალი თანამშრომელი.

სავარაუდოდ, ხელმძღვანელ თანამშრომელთა რიცხვს ასევე მიეკუთვნება დამოუკიდებელი კონსულტანტები, რომლებიც სპეციალიზებული არიან კონკრეტულ დისციპლინებში (როგორცაა სოციალური გარანტიები და ურთიერთობები მოსახლეობასთან). აღნიშნული კონსულტანტები დაქირავებულები იქნებიან არიან ინდივიდუალური კონტრაქტების საფუძველზე, არასრული განაკვეთით, დაკისრებული კონკრეტული დავალებების და პასუხისმგებლობების კონკრეტული განსაზღვრით.

კონტრაქტით დაქირავებული მუშაკები: კონტრაქტით მუშახელი დაქირავებული იქნება დაპროექტების, მიწოდების, მონტაჟის და ექსპლუატაციის კონტრაქტორ(ებ)ის ფარგლებში.

ქვე-კონტრაქტორების მუშახელი ასევე ჩაითვლება კონტრაქტით დაქირავებულ მუშახელად, მათი სავარაუდო რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.

სოციალური მუშაკები: სოციალური მუშაკები ამ პროექტში არ დასაქმდებიან.

მიგრანტი და მოწყვლადი მუშახელი: სპეციალიზებულ გემებზე სავარაუდოდ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იმუშავებენ. პროექტის ბუნების (ძირითადად კვალიფიციური მუშახელი) და საქართველოს შრომის ბაზრის მახასიათებლების გათვალისწინებით, სავარაუდოდ დასაქმებული ქალების რაოდენობა მაღალი არ იქნება. შეფასების მიხედვით, ქალები წარმოადგენენ სამუშაო ძალის დაახლოებით 5-10 პროცენტს, მათი უმეტესობა ჩართული იქნება ტექნიკური (საინჟინრო) ან/და საოფისე და ხმელეთზე არსებულ ბანაკების სამუშაოებში. ყველა მუშახელი იქნება 18 წელს გადაცილებული.

2. ძირითადი პოტენციური შრომითი რისკების შეფასება

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები

ამ ტიპის პროექტები როგორც წესი მოიცავს შემდეგ საქმიანობებს:

- (1) ზღვის ფსკერის სკანირება გემზე დამონტაჟებული მოწყობილობებიდან წყლის 50-100 მეტრამდე სიღრმეზე;
- (2) გეოტექნიკური გამოცდების ჩატარება და ზღვის ფსკერის ნიადაგის ნიმუშების აღება გამოვლენილ ვიწრო დერეფანში.
- (3) ESIA კვლევასთან დაკავშირებული კონკრეტული საქმიანობები.

ძირითადი შრომითი რისკები

შეფასების მიხედვით, ძირითადი შრომითი რისკები დაკავშირებული იქნება გემების ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკებთან. პროექტის ფარგლებში არ დასაქმდებიან 18 წლამდე პირები. პერსონალის დიდ ნაწილს შესაძლოა შეექმნას რისკები ჯანმრთელობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით, მათ შორის ისეთი სამუშაოების შესრულებისას, როგორცაა და არა მხოლოდ:

- ღრმა წყლებში მუშაობა;
- სპეციალური მოწყობილობის გაუმართაობა ან არასწორი გამოყენება.
- ინციდენტი ბორტზე;

- ხანძარი და აფეთქება;
- ავარიული შემთხვევები დახურულ სივრცეში;
- ჩამოცვენილი საგნები;
- დაცურება. დასრიალება და დაცემა;
- შეჯახება ან მეჩქრზე დაჯდომა;;
- ელექტროდენით დაზიანება.

სხვა შრომითი საფრთხეები მნიშვნელოვნად არ ითვლება. პროექტი შეფასებულია, როგორც დაბალი რისკის მქონედ გენდერული ნიშნით ძალადობის (GBV) მიხედვით. თუმცა, სხვა შრომითი რისკების წარმოქმნის შემთხვევაში პროექტის განხორციელების პროცესში, სსე შეიმუშავებს შემდგომი ზემოქმედებების პრევენციის პროცედურებს. სსე-ს აქვს თანამშრომლობის გამოცდილება „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან“ (ATIPFUND), რომელიც წარმოადგენს პირველად და მთავარ სახელმწიფო ინსტიტუტს, რომელიც დახმარებას უწევს გენდერული ნიშნით ძალადობით (GBV) დაზარალებულ ადამიანებს, მათ შორის ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობისა და ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლებსა და დაზარალებულებს. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ მართავს მომსახურებების ქსელს, რომელიც წარმოადგენილია თავშესაფრებისა და ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრებით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მათი ფუნქციები მოიცავს ფსიქო-სოციალურ დახმარებას, რეაბილიტაციას, სამედიცინო დახმარების ორგანიზებას, იურიდიულ დახმარებას (მათ შორის წარმომადგენლობას სასამართლოებში და სამართალდამცავ ორგანოებში), მთარგმნელობით მომსახურებას, საზოგადოებაში რეინტეგრაციას, თავშესაფარს და ონლაინ კონსულტაციებს, 24/7 ცხელი ხაზის (116 006) მომსახურებას, რომელიც 8 ენაზე აწვდის ინფორმაციას.

3. შრომის კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა: პირობები და დებულებები

ქვემოთ წარმოდგენილია ადგილობრივი შრომის კოდექსის ძირითადი ასპექტების მიმოხილვა (ბოლოს შესწორებული: 17.05.2023) სამუშაო პირობებისა და დებულებების შესახებ (ESS2, პარაგრაფი 11).

შრომის ანაზღაურება და დაქვითვა

შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. შრომის ანაზღაურება გაიცემა არანაკლებ თვეში ერთხელ. დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი (შრომის კოდექსის 41(4) მუხლი). შრომის ანაზღაურების მინიმალური ზღვარი არ არის დარეგულირებული

საქართველოს კანონმდებლობით. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50% პროცენტს (შრომის კოდექსი მუხლი 43). დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები (შრომის კოდექსი მუხლი 42).

სამუშაო დროის ხანგრძლივობა / საათები

საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს (8 საათი დღეში). სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის შემთხვევაში (რომელიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის მიერ) სამუშაოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს კვირაში. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს. 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს (შრომის კოდექსი მუხლი 14).

შესვენება

დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ შესვენება კვებისთვის თითოეულ სამუშაო დღეს. სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები (მუხლი 24(4)).

შვებულება

დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში მინიმუმ 24 სამუშაო დღით და ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში მინიმუმ 15 კალენდარული დღით (შრომის კოდექსი მუხლი 31(1)(2)). შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის და მშობიარობის გამო (მუხლი 32(4)). დასაქმებულს მისივე მოთხოვნით მიეცემა დეკრეტული შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით. დეკრეტული შვებულებიდან დასაქმებულს აუნაზღაურდება 183 ან 200 კალენდარული დღე (შრომის კოდექსის 37 მუხლი).

ზეგანაკვეთური სამუშაო

ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა სამუშაო, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის (18 წელს ზემოთ) აღემატება კვირაში 40 საათს (მუხლი 27 (3)). ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით ან დამატებითი შვებულების დღეების მიცემით. ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

შრომითი დავები

საქართველოს შრომის კოდექსი მოიცავს დებულებებს, რომელიც დასაქმებულს აძლევს უფლებას მოითხოვოს დავის გადაწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის წარმოიშობა შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებთან ან სამუშაოს სხვა ასპექტებთან დაკავშირებული უთანხმოება. ეს უთანხმოება უნდა გადაწყდეს შემათანხმებელი პროცედურების დაცვით. აღნიშნული პროცედურები გულისხმობს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვას. მხარე მეორე მხარეს უგზავნის შემათანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ წერილობით შეტყობინებას. შეტყობინებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მხარის მოთხოვნები. მეორე მხარე ვალდებულია განიხილოს წერილობითი შეტყობინება და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. წარმომადგენლები ან მხარეები მიიღებენ წერილობით გადაწყვეტილებას, რომელიც არსებული შრომითი ხელშეკრულების ნაწილი ხდება. თუ შემათანხმებელი პროცედურის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეს უფლება ექნება დავა მიმართოს სასამართლოს. თუ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი მას დაეკისრება (შრომის კოდექსის 48 მუხლი).

საქართველოს შრომის კოდექსი ვრცელდება ძირითად მუშახელზე და კონტრაქტით დაქირავებულ მუშახელზე, მათ შორის უცხოელ მუშახელზე, რომლებიც მუშაობენ სრულ განაკვეთზე. არასრულ განაკვეთზე დაქირავებული ძირითადი მუშახელის პირობები და დებულებები განისაზღვრება მათ ინდივიდუალურ შრომით კონტრაქტებში.

4. შრომის კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა: ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება (OHS) და საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ

4.1 შრომის კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა: ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება (OHS)

საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ (ბოლოს შესწორებული 31.05.2023) ითვალისწინებს დებულებებს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების შესახებ და ვრცელდება ძირითად და კონტრაქტით დაქირავებულ მუშახელზე, მათ შორის უცხოელ მუშახელზე. ქვემოთ მოცემულია კანონმდებლობის ძირითადი ასპექტების მიმოხილვა, რომელიც ეხება ESS2, 24-30 პარაგრაფებში მითითებულ საკითხებს.

1. ყველა პოტენციური საფრთხე, რომელიც ექმნება პროექტის მუშახელის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს დადგინდება პროექტის დაპროექტების ეტაპზე. ნებისმიერი მხარე, რომელიც ასაქმებს მუშახელს, შეიმუშავებს და განახორციელებს პროცედურებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის და შენარჩუნების მიზნით, რაც მოიცავს მათ კონტროლის ქვეშ არსებულ სამუშაო ადგილებს, მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობას, და პროცესების უსაფრთხოებას. ეს ასევე მოიცავს სათანადო ზომების გამოყენებას ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ნივთიერებებთან და მასალებთან დაკავშირებით.
2. თუ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია, უზრუნველყოფილი იქნება სათანადო დაცვის ზომები. აღნიშნული ზომები მოიცავს საფრთხის კონტროლს წყაროსთან, დაცვის გადაწყვეტილებების მიღების და პროექტის მუშახელის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უფასოდ აღჭურვის (PPE) გზით.
3. ნებისმიერი მხარე, რომელიც ასაქმებს მუშახელს, ვალდებულია დანიშნოს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი სამშენებლო ობიექტზე. თუ ობიექტზე დასაქმებულთა რაოდენობა აღწევს 100 ადამიანს, დამსაქმებელი ვალდებულია დანიშნოს მინიმუმ ორი ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ოფიცერი.
4. პროექტში დასაქმებულებმა უნდა გაიარონ ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების (OHS) ტრენინგი საქმიანობის დაწყებამდე და შემდეგ რეგულარულად. ტრენინგში წარმოდგენილი იქნება OHS-ს საკითხები, რომელიც უკავშირდება ყოველდღიურ საქმიანობას, მათ შორის შემთხვევებს, როდესაც გარდაუვალი აუცილებლობის ან საგანგებო სიტუაციების გამო საჭირო ხდება მუშაობის დაუყოვნებლივი შეწყვეტა. ტრენინგის ჩანაწერები წარმოებული იქნება ფაილში, რომელიც უნდა მოიცავდეს ტრენინგის აღწერილობას, ხანგრძლივობას/საათები, ინფორმაციას დასწრების შესახებ და შეფასებების შედეგებს.
5. დამსაქმებელი შეიმუშავებს და განახორციელებს უბედური შემთხვევების, დაავადებების და ინციდენტების ანგარიშგების სისტემას. თითოეული შემთხვევა ეცნობება დამსაქმებელს,

იქნება გამოძიებული და შემუშავდება შესაბამისი ზომები ასეთი შემთხვევის თავიდან აცილებისთვის მომავალში. ასევე უზრუნველყოფილი იქნება საშუალებები ისეთი უარყოფითი ზემოქმედებებისთვის, როგორცაა პროფესიული ტრავმები, შრომისუუნარობა და დაავადებები.

6. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რომ პროექტის მუშახელი უზრუნველყოფილი იქნება მათი სამუშაო გარემოებებისთვის შესაბამისი საშუალებებით, მათ შორის კვების, სანიტარულ ობიექტებზე და დასასვენებელ ზონებზე წვდომით.

კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ განსაზღვრავს უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს და საერთო პრინციპებს საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და/ან სარისკო სამუშაოების შესახებ (მუხლი 2). ასეთი სამუშაოების ჩამონათვალი მითითებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებაში. აღნიშნული ჩამონათვალის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები და ელექტროსამონტაჟე სამუშაოები ზოგადად ითვლება არსებითად სახიფათოდ, შესაბამისად ეს კანონი გავრცელდება კონტრაქტორებზე და ზედამხედველობის კონსულტანტებზე და სსე-ს თანამშრომლებზე, რომლებიც ახორციელებენ ვიზიტებს პროექტით გათვალისწინებულ ლოკაციებზე მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის განმავლობაში..

კანონი დამსაქმებლებს ავალდებულებს დასაქმებულებს შეუქმნან ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო და წინასწარ გააცნოს პოტენციური რისკების შესახებ, რომელსაც შესაძლოა შეიცავდეს მათი სამუშაო მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის. ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქნას მოიცავს და არა მხოლოდ ტრენინგს და საინფორმაციო კამპანიებს, ასევე შესაბამისი პრევენციული ზომების მიღებას. კანონი ითვალისწინებს მოთხოვნებს ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების პროგრამების ორგანიზებასთან და მართვასთან, გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფასთან, და ავარიულ სიტუაციებში რეაგირებასთან დაკავშირებით. ასევე მოიცავს მოთხოვნებს საშიშ სამუშაო ზონებამდე წვდომის კონტროლთან, მუშახელისთვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უფასოდ აღჭურვასთან დაკავშირებით და სამედიცინო გამოკვლევებთან დაკავშირებით (მუხლი 5)..

ასევე, კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ მოიცავს დებულებებს, რომლის მიხედვით დასაქმებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საკონსულტაციო პროცესში ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებზე, წარმოადგინოს რეკომენდაციები და დასვას საკითხები რისკებთან და საფრთხეებთან დაკავშირებით (მუხლი 9). თუმცა, არ არსებობს კონკრეტული მოთხოვნა საჩივრებზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით, რაც შესაძლებლობას მისცემს მუშახელს თავიანთი საჩივრები წარუდგინონ დამსაქმებელს. ეს საკითხი შესაძლოა ჩაითვალოს შეუსაბამობად საქართველოს კანონმდებლობასა და ESS2

შორის. საჩივრების განხილვის მექანიზმი დამატებით განხილულია წინამდებარე დოკუმენტში (იხილეთ ნაწილი 9).

4.2 საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ

საქართველოს კანონი საზღვაო სივრცის შესახებ განსაზღვრავს შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლების, ტერიტორიული ზღვის (წყლების), მიმდებარე ზონის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს შავ ზღვაში საქართველოს შიდა საზღვაო წყლების, ტერიტორიული ზღვის (წყლების), მიმდებარე ზონის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის სამართლებრივ სტატუსს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. კანონის მიზანია საქართველოს უფლებების, ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა საქართველოს საზღვაო სივრცეში; შავი ზღვის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება, შავი ზღვისპირა და სხვა უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება; ნაოსნობის გაადვილება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; შავი ზღვის გარემოს დაცვა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება; სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა და შავი ზღვის რესურსების რაციონალურად გამოყენება. კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოს შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი საკაერო სივრცე, ფსკერი და წიაღი საქართველოს ტერიტორიის ნაწილია, რომელზეც იგი ახორციელებს სუვერენიტეტს. ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და შენარჩუნების, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების დაცვის მიზნით საქართველო თავის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე ახორციელებს სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლის მხარეც არის საქართველო.

5. პასუხისმგებელი პერსონალი

სსე-ს სისტემათაშორისი ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ინტერკონექციის დეპარტამენტი ასრულებს პროექტის განხორციელების განყოფილების (PIU) ფუნქციას IFI - დაფინანსებული პროექტების განხორციელებაში. IFI-დაფინანსებული პროექტები ხორციელდება სისტემათაშორისი ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ინტერკონექციის დეპარტამენტის ან/და საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის (IPRD), უშუალო ზედამხედველობით და მართვით, სსე-ს მმართველი საბჭოს საერთო მართვისა და ზედამხედველობის ქვეშ.

სისტემათაშორისი ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ინტერკონექციის დეპარტამენტს მხარს უჭერს გარემოს დაცვის, სოციალური და ნებართვების საკითხების დეპარტამენტი და საერთაშორისო პროექტების დაგეგმვისა და ზედამხედველობის დეპარტამენტი. ყველა დეპარტამენტს ჰყავს თავისი ჯგუფის წევრები თითოეული IFI-დაფინანსებული პროექტის შესაბამისად, რომელსაც ხელმძღვანელობენ დეპარტამენტების ხელმძღვანელები. დეპარტამენტების ხელმძღვანელები კოორდინაციას მოახდენენ სსე-ს მმართველ საბჭოსთან და ზედამხედველობის კონსულტანტთან პროექტების მონიტორინგის და მართვის საკითხში.

სსე პასუხისმგებელი იქნება:

- განახორციელოს თავისი შრომის მართვის პროცედურა ხელმძღვანელ თანამშრომლებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოს, რომ კონტრაქტორ(ებ)მა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან წყალქვეშა კაბელის და ქვე-სადგურის მშენებლობაზე, მოამზადონ შრომის მართვის პროცედურები წინამდებარე შრომის მართვის პროცედურის შესაბამისად, და საპროექტო ეტაპამდე მოამზადონ ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების გეგმა;
- აკონტროლოს, რომ კონტრაქტორის და ქვე-კონტრაქტორის შესაბამისობა მსოფლიო ბანკის ESS2 და ეროვნული შრომის კოდექსთან.
- აკონტროლოს, კონტრაქტორების მიერ შრომის მართვის პროცედურების გეგმების განხორციელება.
- აკონტროლოს, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა, შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის და ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების გეგმის შესაბამისად;
- უზრუნველყოს კონტრაქტორის ტრენინგი.
- უზრუნველყოს, რომ შეიქმნას საჩივრების განხილვის მექანიზმი პროექტის მუშახელისთვის და აკონტროლოს მისი განხორციელება;
- აკონტროლოს მუშახელის ქცევის კოდექსის განხორციელება.
- ზედამხედველობის კონსულტანტი ყოველდღიურად განახორციელებს შრომის და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობას შემკვეთის სახელით (სსე). გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) მოითხოვს ზედამხედველობის კონსულტანტმა დაიქირაოს კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც განახორციელებენ ზედამხედველობას და ყოველთვიურად წარუდგენენ შესრულების შესახებ ანგარიშს სსე-ს.
- კონტრაქტორები პასუხისმგებელი იქნებიან:

- დაიქირაონ ან დანიშნონ კვალიფიციური ექსპერტები სოციალურ, შრომის და უსაფრთხოების საკითხებში, რომლებიც მოამზადებენ და განახორციელებენ პროექტთან დაკავშირებულ შრომის მართვის პროცედურას, ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების გეგმებს და მართავენ ქვე-კონტრაქტორების საქმიანობას.
- შეიმუშაონ შრომის მართვის პროცედურა და ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების გეგმა, რომელიც გავრცელდება კონტრაქტით და ქვე-კონტრაქტით დაქირავებულ მუშახელზე. აღნიშნული პროცედურა და გეგმა განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება ზედამხედველობის კონსულტანტს კონტრაქტორების მობილიზებამდე საპროექტო ეტაპზე.
- კონტრაქტორები ზედამხედველობას გაუწევენ თავიანთი ქვე-კონტრაქტორების მიერ შრომის მართვის პროცედურების და ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების გეგმების განხორციელებას
- აწარმოონ ჩანაწერები საკონტრაქტო მუშახელის დაკომპლექტების და დასაქმების პროცესის შესახებ.
- მკაფიოდ და გარკვევით აცნობონ კონტრაქტით დაქირავებულ მუშახელს სამუშაო მოვალეობები და დასაქმების პირობები;
- შეიმუშაონ და დანერგოს საჩივრების განხილვის მექანიზმი და გადაწყვიტონ კონტრაქტით და ქვე-კონტრაქტით გაფორმებული მუშახელისგან მიღებული საჩივრები.
- დანერგოს შრომის, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების რეგულარული განხილვისა და ანგარიშგების სისტემა.
- უზრუნველყონ გაცნობითი (მათ შორის სოციალური) და HSE ტრენინგი თანამშრომლებისთვის.
- უზრუნველყოს, რომ ყველა კონტრაქტორი და ქვე-კონტრაქტორი გაეცნოს და ხელი მოაწეროს ქვევის კოდექსს სამუშაოების დაწყებამდე.

მას შემდეგ რაც დასრულდება სატენდერო პროცესი და ცნობილი გახდება კონტრაქტორები, შრომის მართვის პროცედურა შესაძლოა შესწორდეს საჭიროების შემთხვევაში კომპანიების შესახებ დამატებითი დეტალების შეტანის მიზნით.

6. პოლიტიკა და პროცედურები

ამ ნაწილში მითითებულია მთავარი პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც უნდა შესრულდეს პროექტის სამშენებლო ეტაპზე. საჭიროების შემთხვევაში მოხდება ამ ნაწილის შესწორება და განახლება, სამშენებლო კონტრაქტების გაფორმების შემდეგ.

სსე-ს აქვს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) შრომის შიდა წესები და რეგულაციები (ბრძანება N06/k-t, თბილისი 2013) რომელიც საქართველოს შრომის კოდექსთან ერთად უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებების დაცვას. განკარგულება ვრცელდება პროექტში ჩართულ მუშახელზე (სსე თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ პროექტზე). სსე ასევე აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ვრცელდება მის თანამშრომლებზე.

კონტრაქტორები შეადგენენ შრომის მართვის პროცედურებს წინამდებარე შრომის მართვის პროცედურის და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. ქვემოთ მითითებული პრინციპები და პროცედურები წარმოადგენს მინიმალურ მოთხოვნებს, თუმცა არ არის მოთხოვნების ამომწურავი ჩამონათვალი.

საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, პროექტის თანამშრომლები იმუშავებენ არადისკრიმინაციულ გარემოში და ისარგებლებენ თანაბარი შესაძლებლობებით. შრომითი ურთიერთობების არცერთ ასპექტთან მიმართებით ადგილი არ ექნება დისკრიმინაციას, როგორცაა პერსონალის მიღება, კომპენსაცია, სამუშაო და დასაქმების პირობები, ტრენინგის ხელმისაწვდომობა, დასაქმების ხელშეწყობა ან შეწყვეტა. ჩამოთვლილ ზომებს შეიმუშავებენ კონტრაქტორები და მონიტორინგს გაუწევენ სსე და ზედამხედველობის კონსულტანტი ყველა თანამშრომლის მიმართ სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით:

- შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, მიღების პროცედურები იქნება გამჭვირვალე, საჯარო და არადისკრიმინაციული, წარმომავლობის, რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, სქესის და სხვა საკითხების მიუხედავად, რომელიც მითითებულია შრომის კოდექსში;
- სამსახურში მიღების შესახებ განცხადება განიხილება კონტრაქტორების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- სამუშაოზე მიღებამდე განმცხადებელს გაეცნობა თანამდებობრივი მოვალეობები და განემარტება ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს თითოეულ პოზიციაზე;
- ყველა თანამშრომელს ექნება წერილობითი კონტრაქტი, სადაც მითითდება სამუშაო პირობები, რომელის შინაარსი განემარტება მათ. თანამშრომლები ხელს მოაწერენ შრომით ხელშეკრულებას. დასაქმების პირობები და დებულებები ხელმისაწვდომი იქნება სამუშაო ობიექტებზე;

- არაკვალიფიციური მუშახელი ძირითადად წარმოდგენილი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებიდან, დასახლებებიდან და მუნიციპალიტეტებიდან;
- თანამშრომლები სამუშაოს შეწყვეტის და გათავისუფლების შესახებ ინფორმირებული იქნებიან მინიმუმ ორი თვით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ სამი თვის მანძილზე 50 მუშახელს შეუწყდება უფლებამოსილება, კონტრაქტორი მოამზადებს შემცირების გეგმას ზედამხედველობის კონსულტანტის მიერ განსახილველად და დასამტკიცებლად;
- კონტრაქტით აყვანილი მუშახელი არ იხდის დაქირავების საკომისიოს, ასეთი საკომისიოების გადახდის აუცილებლობის შემთხვევაში მათ იხდის შემკვეთი („კონტრაქტორი“);
- დამსაქმებლის და დასაქმებულის წარმოშობიდან გამომდინარე კონტრაქტები შემუშავდება ორივე მხარისთვის გასაგებ ენაზე..
- წერილობითი დოკუმენტაციის გარდა იმ თანამშრომლებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ სირთულეები დოკუმენტაციის გაგების თვალსაზრისით, ზეპირად განემარტება დასაქმების პირობები და დებულებები.;
- თუ მოსალოდნელი არ არის საკომუნიკაციო ენასთან დაკავშირებული პრობლემები ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა კონტრაქტორებს შორის კოორდინაციის და ენობრივი განსხვავებების აღმოფხვრის საშუალებების უზრუნველყოფას;
- უცხო ქვეყნის პერსონალს სჭირდება ბინადრობის ნებართვა, რაც მათ მისცემს საქართველოში მუშაობის უფლებას.
- სსე კონტრაქტებში მიუთითებს, რომ ყველა კონტრაქტორის (და ქვე-კონტრაქტორი) პერსონალი უნდა იყოს 18 წლის ან მეტი ასაკის.

სსე-ს გააჩნია ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროცედურები, რომლებიც მოიცავს ყველა საქმიანობას, რომელიც სსე-ს შეკვეთით ხორციელდება, მათ შორის საველე სამუშაოების ჯგუფების მართვას, რომლის შემადგენლობაში შედიან ინჟინრები, ტექნიკოსები და სხვა პერსონალი და ტექნიკური ჯგუფების მართვას, რომლებიც მუშაობენ ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის ობიექტებში და წყალქვეშა კაბელის ტექნიკურ მომსახურებაზე.

პროექტის ფარგლებში, პროექტის ძირითადი თანამშრომლები (სსე თანამშრომლები) განახორციელებენ საველე ვიზიტებს და კაბელის დერეფნის ინსპექტირებას. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ პროექტის ძირითად თანამშრომლებს არ მოუწევთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით მაღალი რისკების შემცველი სამუშაოების შესრულება. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროცედურები მოითხოვს სსე-ს პერსონალმა ობიექტზე მუშაობის პროცესში ატაროს ინდივიდუალური დაცვის შესაბამისი აღჭურვილობა (PPE). მათ შორის მაღალი ხილვადობის ყილეტები, ჩაფხუტები, დამცავი

სათვალეები, უსაფრთხო ფეხსაცმელი და სამუშაო სპეციფიკის შესაბამისი სხვა აღჭურვილობა. დამატებითი სპეციფიკური აღჭურვილობა საჭირო არ არის.

სსე-ს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროცედურები ასევე განსაზღვრავს საგზაო მოძრაობის მართვის მოთხოვნებს პროექტის განხორციელების პროცესში გამოყენებულ სსე-ს სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით; რაც მოიცავს პირველადი დახმარების ავთიაქის აუცილებლობას სატრანსპორტო საშუალებებში, ტრანსპორტის პერიოდულ შემოწმებას, მართვის დროს მძღოლებისთვის უსაფრთხოების გარანტიის მოთხოვნებს.

ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მთავარი რისკები წარმოექმნება სამშენებლო კონტრაქტორების მუშახელს. კომპანიებს, რომლებიც წარადგენენ წინადადებებს სამუშაოსთან დაკავშირებით, მოეთხოვებათ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკის მართვის შესაძლებლობების დემონსტრირება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, კონტრაქტორებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ შრომის მართვის პროცედურები და ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების გეგმა ESMP-ს (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა) შესაბამისად. კონტრაქტორები უზრუნველყოფენ, რომ ქვე-კონტრაქტორები შეასრულებენ ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების გეგმებს..

სსე სატენდერო დოკუმენტებში შეიტანს OHS კონკრეტულ სტანდარტულ მოთხოვნებს, რომელიც უნდა შეასრულოს ყველა კონტრაქტორმა და ქვე-კონტრაქტორმა პროექტის ფარგლებში. აღნიშნული სტანდარტები შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ რეგულაციებთან, WBG EHS სახელმძღვანელო მითითებებთან, საზღვაო შრომის კონვენციასთან (2016, ბოლოს შესწორებული 2019 წელს) და GIIP (მოწინავე საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკა). ქვემოთ მოცემული OHS სტანდარტის მოთხოვნები მინიმუმ შეტანილი უნდა იყოს OHS გეგმაში, რომელიც უნდა მოამზადონ კონტრაქტორებმა:

- რისკის შეფასების პროცედურა;
- სახიფათო სამუშაოების შესრულების ნებართვა (სამუშაოების შესრულება სიმაღლეზე, შესადუღებელი სამუშაოები, სამუშაოები ძაბვის ქვეშ არსებულ ხაზებზე, სამუშაოები დახურულ სივრცეში).
- სიცოცხლისთვის საშიში სამუშაოების შესრულების ოქროს წესები;
- ავარიულ სიტუაციებში რეაგირების პროცედურა;
- ვარდნის პრევენცია და სამუშაოები სიმაღლეზე;
- კიბეების და ხარაჩოების უსაფრთხოება; ელექტრო და ხელის ინსტრუმენტების უსაფრთხოება;
- ელექტროუსაფრთხოება (სახიფათო ენერგიების კონტროლი, ბლოკირება და დაპლომბვა, ენერგომოხმარების შემოწმება, უსაფრთხო დისტანციური სამუშაოების, ელექტროგაყვანილობის და სამრეწველო ნიმუშების დაცვა, დამიწება, წრედის დაცვა, რკალური შერთვისგან დაცვა, ელექტროუსაფრთხოება, ინდივიდუალური დაცვის

საშუალებები და საიზოლაციო საშუალებები); საფრთხეების შეტყობინება; ხმაურის და ვიბრაციული უსაფრთხოება; ფოლადის კონსტრუქციების უსაფრთხოება; სახანძრო უსაფრთხოება; მასალების დატვირთვის უსაფრთხოება; ბეტონის და ქვ-აგურის წყობის უსაფრთხოება;

- OHS ტრენინგი;
- სამუშაო პოლიტიკის უარყოფა.

გარდა ამისა, ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების გეგმები, სხვა საკითხებთან ერთად ასევე მოიცავს შემდეგს: კონტრაქტორი განსაზღვრავს OHS პასუხისმგებლობის მატრიცას ყველა პერსონალისთვის, მათ შორის პროექტის მენეჯერისთვის, კონტრაქტის მენეჯერისთვის, OHS პერსონალისთვის, ბრიგადირისთვის და ყველა თანამშრომლისთვის, მკაფიო ფუნქციებით და OHS პასუხისმგებლობებით. ყველა კონტრაქტორს უნდა ჰყავდეს საკუთარი OHS პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება OHS პროგრამის განხორციელებაზე და ზედამხედველობაზე. კონტრაქტორები უზრუნველყოფენ უსაფრთხო სამუშაო ადგილს, აქედან გამომდინარე რისკის შეფასება დასრულდება ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოს დაწყებამდე და უსაფრთხოების ზომები განხორციელდება უსაფრთხოების მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPEs) და სხვა პრევენციული ზომები უზრუნველყოფილი იქნება უფასოდ თანამშრომლებისთვის. ყველა თანამშრომელი მკაცრად დაიცავს სიცოცხლისათვის საშიში სამუშაოების ოქროს წესებს (OHS წესები, რომელიც არ შეიძლება დაირღვეს ნებისმიერ გარემოებაში), რომელიც შესრულდება შედეგების საკონტრაქტო მატრიცის საფუძველზე. ადგილზე იმოქმედებს OHS კომიტეტი, თანამშრომლების წარმომადგენლების, სსე და ყველა ქვე-კონტრაქტორის შემადგენლობით. კვირაში ორჯერ ჩატარდება OHS კრებები პრევენციული ზომების, გადახვევების და შეუსაბამობების, შემთხვევების და გამოსწორების ზომების განხილვის მიზნით. კონტრაქტორები ჩაატარებენ შიდა OHS კვლევებს და აუდიტებს OHS წესების დაცვის შემოწმების მიზნით. შეუსაბამობები დამოწმდება დოკუმენტურად და წარმოდგენილი იქნება შიდა ფარგლებში. განისაზღვრება და დაცული იქნება გამოსწორების ზომების ვადა. ყოველდღიური ბრიფინგი OHS საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდება სამუშაოების დაწყებამდე, სადაც გაშუქდება საფრთხეები და პრევენციული ზომები თითოეულ სამუშაოსთან დაკავშირებით. კონტრაქტორები დოკუმენტურად შეადგენენ და წარუდგენენ ანგარიშს სსე-ს ყველა უბედური შემთხვევის და ავადმყოფობის, დაკარგული სამუშაო დღის, ფატალური შემთხვევების ან მძიმე ტრავმების შესახებ, რომელიც შესაძლოა მოხდეს სამუშაო ობიექტზე. ადგილზე უნდა არსებობდეს პირველადი დახმარების გაწევის რესურსები და მძიმე ტრავმებისთვის წინასწარ დამტკიცებული სამკურნალო დაწესებულება სამედიცინო დახმარების გაწევისთვის, ასევე ტრავმირებული მუშახელის სათანადო ტრანსპორტირება.. კონტრაქტორები გააკონტროლებენ სამშენებლო ობიექტზე წვდომას მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის და შეამოწმებენ აკმაყოფილებენ თუ არა თანამშრომლები ტრენინგის და აკრედიტაციის

მოთხოვნებს სსე-ს ტრენინგის სტანდარტების და მოქმედი ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად (ე.ი. უმეტეს ქვეყნებში სატვირთო მანქანის მძღოლები, ამწის ოპერატორები, ასევე ელექტრიკოსები, აკრედიტირებულნი უნდა იყვნენ. მუშახელმა უნდა გაიაროს ტრენინგი იმისათვის, რომ შეასრულონ სამიში სამუშაოები, როგორცაა სიმაღლეზე მუშაობა, დახურულ სივრცეში მუშაობს, შედუღება და სხვა). ყველა თანამშრომელმა მინიმუმ უნდა გაიაროს საწყისი ინსტრუქტაჟი ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების (OHS) საკითხებზე სამშენებლო ობიექტზე წვდომის მიზნით.

გემებზე, კონტრაქტორები უზრუნველყოფენ საცხოვრებლებს სათანადო ჰიგიენური სტანდარტის დაცვით, სუფთა სასმელი წყლით, სუფთა საწოლებით, საპირფარეშოებით და საშხაპეებით, სუფთა საძინებლებით, სათანადო განათებით, კარადებით, სათანადო ვენტილაციით, უსაფრთხო ელექტრომოწყობილობით, ხანძრისგან და მეხისგან დაცვით, ცალკე სამზარეულო და კვების ზონებით. ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი ობიექტები ქალებისა და მამაკაცებისთვის.

ზედამხედველობის კონსულტანტი (სსე-ს სახელით) განახორციელებს კონტრაქტორის მიერ ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების (OHS) მოთხოვნების შესრულების პერიოდულ ზედამხედველობას, მათ შორის ობიექტზე ვიზიტებს, მინიმუმ ყოველთვიურად. ზედამხედველობა მოიცავს ზემოხსენებული სტანდარტების დაცვას, უბედურ შემთხვევებს, ოქროს წესების დარღვევას, რეკომენდაციებს და მიმდინარე გამოსწორების ზომების პროგრესს. სსე კონტრაქტ(ებ)ში შეიტანს მოთხოვნას, რომ კონტრაქტორებმა წარმოადგინონ ანგარიში ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა უბედური შემთხვევების რაოდენობა, უბედური შემთხვევების სტატისტიკა, განმეორებითი დარღვევების რაოდენობა, ოქროს წესების დარღვევა, სერიოზული ტრავმები და სიკვდილიანობის შემთხვევები; და ჯარიმები შეუსრულებლობისთვის. ზედამხედველობის კონსულტანტი გადახედავს და დაამტკიცებს კონტრაქტორის უსაფრთხოების გეგმებსა და პროცედურებს.

სსე ბანკს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი უბედური შემთხვევის ან ავარიის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ან შესაძლოა მოახდინოს გარემოზე, ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობაზე, საზოგადოებაზე ან მუშახელზე (შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, ან დაცვის სისტემის დარღვევის შემთხვევები, ინციდენტები ან გარემოებები) აცნობებს დაუყოვნებლივ, თუმცა ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში შედის გაფიცვები ან სხვა შრომითი პროტესტი, მუშახელის სერიოზული ტრავმა ან ფატალური შემთხვევები, პროექტით მიყენებული ზიანი თემის წევრებისთვის ან ქონებისთვის. სსე მოამზადებს ანგარიშს აღნიშნული შემთხვევის და გამოსწორების ზომების შესახებ და წარუდგენს ბანკს შემთხვევიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

კონტრაქტორი შეიმუშავებს და განახორციელებს ქვევის კოდექსს. მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია აღნიშნული ქვევის კოდექსი ასევე წარუდგინოს ზედამხედველობის კონსულტანტს გადახედვის და დამტკიცების მიზნით. ქვევის კოდექსში აისახება კომპანიის ძირითადი ღირებულებები და საერთო სამუშაო კულტურა. ქვევის კოდექსის შინაარსი შეტანილია მსოფლიო ბანკის სტანდარტულ სატენდერო დოკუმენტებში და მოიცავს დებულებებს GBV -თან დაკავშირებით.

კონტრაქტორებმა პერიოდულად უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია შეტანილი იქნება მშენებელი კონტრაქტორის ყოველთვიურ ანგარიშში და განიხილავს ზედამხედველობის კონსულტანტის ჯგუფი.

გარდა ამისა, კონტრაქტორმა სსე-ს უნდა წარუდგინოს ანგარიში ინსპექტირებების და აუდიტების შესახებ, რომლებიც ჩაატარეს შესაბამისმა სამინისტროებმა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ. აუდიტების შედეგები წარედგინება სსე-ს და ბანკს მოთხოვნის შემთხვევაში.

7. დასაქმების ასაკი

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს 18 წლამდე ასაკის პირებისთვის სახიფათო სამუშაოების შესრულებას და მოცემული სამშენებლო სამუშაოები სახიფათოდ ითვლება. შესაბამისად მშენებლობაზე არ დასაქმდებიან 18 წლამდე ასაკის პირები, გარდა საოფისე სამუშაოებისა.

კონტრაქტორებს მოეთხოვებათ შეამოწმონ ყველა თანამშრომლის პირადობა და ასაკი. ეს თანამშრომლებისგან მოითხოვს ოფიციალური საბუთების წარმოდგენას, რომელშიც შესაძლოა შედიოდეს დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა, პასპორტი და სამედიცინო ან სკოლის საბუთები..

თუ გამოვლინდება, რომ პროექტზე მუშაობს ბავშვი, რომელსაც არ მიუღწევია დადგენილი მინიმალური ასაკისთვის, მიღებული უნდა იქნას ზომები ბავშვის დასაქმების დაუყოვნებლივ შეწყვეტისთვის, პასუხისმგებლობის დაცვით და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

8. პირობები და დებულებები

პირობები და დებულებები, რომლებიც ვრცელდება სსე-ს თანამშრომლებზე, მითითებულია სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე-ს) შრომის შიდა წესებში და

რეგულაციებში (ბრძანება N06/k-t, თბილისი 2013) რომელიც საქართველოს შრომის კოდექსთან ერთად უზრუნველყოფს სსე-ს თანამშრომელთა უფლებების დაცვას (რომელიც აღწერილია მე-3 ნაწილში). აღნიშნული შიდა წესები და რეგულაციები ვრცელდება სსე-ს თანამშრომლებზე, რომლებსაც უკავიათ კონკრეტული პოზიციები პროექტთან დაკავშირებით (ძირითადი თანამშრომლები).

არასრულ განაკვეთზე მომუშავე ძირითადი თანამშრომლების პირობები და დებულებები განსაზღვრულია მათ ინდივიდუალურ კონტრაქტებში. ძირითადი მუშაკების სამუშაო საათები, რომლებიც არიან სსე-ს თანამშრომლები, შეადგენს 40 საათს კვირაში. სსე თავის თანამშრომლებს აუნაზღაურებს ზეგანაკვეთურ სამუშაოს დამატებითი დასვენების დროით. ეს ოფციონი გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსში.

შრომის კოდექსის მიხედვით სამუშაოს ხანგრძლივობა შეადგენს 48 საათს კვირაში ისეთ სექტორში, როგორცაა ენერჯეტიკა. პროექტში დასაქმებული ყველა თანამშრომელი მიიღებს მინიმუმ ერთ დასვენების დღეს (24 საათი) ექვსი თანმიმდევრული სამუშაო დღის შემდეგ.

კონტრაქტორების შრომის მართვის პროცედურა განსაზღვრავს პირობებსა და დებულებებს კონტრაქტით მომუშავე პირებისთვის. აღნიშნული პირობები და დებულებები მინიმუმ შესაბამისობაში იქნება წინამდებარე შრომის მართვის პროცედურასთან, შრომის კოდექსთან და მსოფლიო ბანკის სტანდარტის სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობებთან და შედარებით სამრეწველო სტანდარტებთან.

9. საზღვაო შრომის კონვენციის მოკლე მიმოხილვა (2006, შესწორებული 2019 წელს).

MLC არის დასაქმების ყოვლისმომცველი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც მიღებულია შსო შრომის საერთაშორისო კონფერენციის მიერ 2006 წლის თებერვალში. იგი შეიცავს მეზღვაურთა უფლებებს ღირსეულ სამუშაო პირობებზე და ქმნის სამართლიანი კონკურენციის პირობებს გემთმფლობელებისთვის..

გემზე მუშაობის მინიმალური მოთხოვნები მეზღვაურებისთვის

მინიმალური ასაკი

დაუშვებელია მინიმალურ ასაკზე ნაკლები წლოვანების პირების გემზე სამუშაოზე აყვანა, სამუშაოში ჩართვა ან მათი შრომის გამოყენება. კონვენციის თავდაპირველი კანონიერი ძალაში შესვლის დროისთვის, მინიმალური ასაკი შეადგენს 16 წელს. კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ასევე შესაძლებელია განისაზღვროს უფრო მაღალი მინიმალური ასაკი.

სამედიცინო ცნობა

- დაუშვებელია მეზღვაურების გემზე სამუშაოდ აყვანა, თუ მათ არ აქვთ ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, რითაც დასტურდება მათი ვარგისიანობა დაკისრებული მოვალეობების შესრულებისთვის.
- გამონაკლისები დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ტრენინგი და კვალიფიკაცია

- მეზღვაურები არ დაიშვებიან გემზე სამუშაოდ, თუ ისინი არ გაივლიან პროფესიულ წვრთნას ან სერტიფიცირებას მათი კომპეტენტურობის დასამტკიცებლად ან არ იქნებიან კვალიფიციური მათი მოვალეობების შესრულებისთვის.
- მეზღვაურები არ დაიშვებიან გემზე სამუშაოდ, თუ ისინი წარმატებით არ გაივლიან წვრთნას გემზე პირადი უსაფრთხოების საკითხებში.
- ტრენინგი / წვრთნა და სერტიფიცირება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ მიღებული სავალდებულო ხასიათის აქტების შესაბამისად ჩაითვლება აღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებად.

შრომითი პირობები

- მეზღვაურის სამუშაო პირობები განისაზღვრება ან მითითებულია წერილობით, სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებაში. აღნიშნული პირობები უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსით გათვალისწინებულ სტანდარტებს.
- მეზღვაურთა შრომითი ხელშეკრულებები უნდა შეთანხმდეს მეზღვაურთან იმ პირობებში, რომ მეზღვაურს ექნება ხელშეკრულებების პირობების გადახედვის და კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა ხელშეკრულების პირობებისა და დებულებების შესახებ და მათი თავისუფლად მიღების შესაძლებლობა ხელშეკრულების გაფორმებამდე.
- რამდენადაც დაკავშირებული იქნება წევრი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან, მეზღვაურთა შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი მოქმედი კოლექტიური შეთანხმება.

ხელფასები

ყველა მეზღვაურმა უნდა მიიღოს ანაზღაურება მისი სამსახურის სანაცვლოდ რეგულარულად და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მინიმალური ხელფასები

აღნიშნული პროცედურების შემუშავების და მინიმალური ხელფასის განსაზღვრისას, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს საერთაშორისო სტანდარტებს მინიმალური ხელფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ასევე შემდეგ პრინციპებს:

ა) მინიმალური ხელფასების ოდენობა უნდა ითვალისწინებდეს ზღვაზე სამუშაოს მახასიათებლებს, ეკიპაჟის შემადგენლობის დონეს და მეზღვაურთა ნორმალურ სამუშაო საათებს; და

ბ) მინიმალური ხელფასის დონის კორექტირება უნდა მოხდეს მეზღვაურთა ცხოვრების ხარჯისა და მათ მოთხოვნებში განხორციელებული შესწორებების გათვალისწინებით..

კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) კონტროლისა და სანქციების დაწესების სისტემის მეშვეობით, გადახდილი ხელფასის ოდენობა არ იყოს დადგენილ განაკვეთზე ან განაკვეთებზე დაბალი.

სამუშაო დროისა და დასვენების დროის ხანგრძლივობა

თითოეული წევრი ქვეყანა აღიარებს, რომ ნორმალური სამუშაო დროის ხანგრძლივობა როგორც მეზღვაურებისთვის, ასევე სხვა მუშაკებისთვის, გამოითვლება რვასაათიანი სამუშაო დღის საფუძველზე, კვირაში ერთი დასვენების დღით და უქმე დღეებში დასვენებით. თუმცა აღნიშნულმა ხელი არ უნდა შეუშალოს წევრ ქვეყანას განსაზღვროს შესაბამისი პროცედურები, რათა გააფორმოს ან დაარეგისტრიროს კოლექტიური შეთანხმებები, რომელიც განსაზღვრავს მეზღვაურთა ნორმალურ სამუშაო დროს წინამდებარე სტანდარტზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით.

ეროვნული სტანდარტების განსაზღვრისას, თითოეულმა წევრმა ქვეყანამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის საფრთხე, რომელიც დაკავშირებული იქნება მეზღვაურთა დადლილობასთან, განსაკუთრებით იმ მეზღვაურების, რომელთა მოვალეობებში შედის ნაოსნობის უსაფრთხოების, ასევე გემის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

1. სამუშაო ან დასვენების დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

(ა) სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს:

- (i) 14 საათს ნებისმიერი 24 საათიანი პერიოდის განმავლობაში; და
- 72 საათს ნებისმიერი შვიდდღიანი პერიოდის განმავლობაში; ან

(ბ) მინიმალური დასვენების დროის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ:

- (ii) ათ საათს ნებისმიერი 24 საათიანი პერიოდის განმავლობაში; და
- (iii) 77 საათს შვიდდღიანი პერიოდის განმავლობაში.

2. დასვენების დრო შესაძლებელია დაიყოს არაუმეტეს ორ პერიოდად, რომელთაგან ერთ-

ერთის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ექვს საათს, ხოლო დასვენების თანმიმდევრულ პერიოდებს შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს 14 საათს.

3. საწვრთნელი შეკრებები, ხანძარსაწინააღდეგო და სამაშველო ნავებთან დაკავშირებული წვრთნები, ასევე ეროვნული კანონმდებლობით, რეგულაციებით და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული წვრთნები უნდა ჩატარდეს იმგვარად, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დასვენების დროის ხანგრძლივობის დარღვევა და არ გამოიწვიოს დაღლილობა.
4. როდესაც მეზღვაური იმყოფება მორიგეობაზე, როდესაც სამანქანო სივრცე წარმოდგენილია უვახტო მომსახურებით, მეზღვაური უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატურად ანაზღაურებადი დასვენების პერიოდით იმ შემთხვევაში, თუ ნორმალური დროის ხანგრძლივობა დაირღვევა მისი გამოძახებით სამუშაო ადგილზე.

საზღვაო შრომის კონვენცია ასევე ითვალისწინებს დებულებებს ახალგზარდა მეზღვაურების შესახებ, თუმცა პროექტი არ ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის პირთა დასაქმებას.

საცხოვრებელი და დასვენების საშუალებები

სავალდებულოა დაცული იყოს მინიმალური სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს გემზე მომუშავე ან მცხოვრები ან როგორც მომუშავე, ასევე მცხოვრები მეზღვაურების მიმართ ღირსეული და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების არსებობას ამ სტანდარტის დებულებების შესაბამისად; და მათ შემოწმებას აღნიშნულ სტანდარტებთან თავდაპირველი და მიმდინარე შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

1. ვენტილაციასთან და გათბობასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- (ა) კაიუტები და სასადილო ოთახები სა თანადოდ უნდა იყოს ვენტილირებული;
- (ბ) გემები, გარდა რეგულარული სავაჭრო გემებისა, რომლებზეც ტემპერატურის კლიმატური პირობები არ მოითხოვს აღნიშნულს, აღჭურვილი უნდა იყოს ჰაერის კონდიცირების მოწყობილობებით მეზღვაურთა საცხოვრებლისთვის, განცალკევებული რადიო ოთახისა და ნებისმიერი ცენტრალური მართვის სამანქანე განყოფილებისთვის.
- (გ) ყველა სანიტარულ კვანძს უნდა ჰქონდეს ღია ჰაერში გამავალი სავენტილაციო სისტემა, საცხოვრებელი სივრცის ნებისმიერი ნაწილისგან დამოუკიდებლად; და
- (დ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო გათბობა შესაბამისი გათბობის სისტემის მეშვეობით, გარდა ტროპიკული კლიმატის პირობებში რეისების შემსრულებელი გემებისა,

2. განათებასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნების, ასევე იმ სპეციალური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს სამგზავრო გემებზე, კაიუტები და სასადილო ოთახები განათებული უნდა იყოს ბუნებრივი განათებით და ასევე უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ხელოვნური განათება.

3.გემზე კაიუტების საძინებელი სივრცის აუცილებლობის შემთხვევაში, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:

(ა) გემებზე, სამგზავრო გემების გარდა, თითოეული მეზღვაურისთვის გამოყოფილი უნდა იყოს განცალკევებულ საძინებელი სივრცე: 3,000 საერთო ტონაჟზე ნაკლები ან სპეციალური დანიშნულების გემების შემთხვევაში, აღნიშნული პირობიდან გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებული იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გამთმფლობელთა ან მეზღვაურთა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან სათანადო კონსულტაციის გავლის შემდეგ;

(ბ) მამაკაცებისა და ქალებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს განცალკევებული საძინებელი სივრცეები;

(გ) საძინებელი სივრცეები უნდა იყოს შესაბამისი ზომის და აღჭურვილი სათანადო კომფორტის და სისუფთავის დაცვის მიზნით;

(დ) ნებისმიერ შემთხვევაში თითოეულ მეზღვაურზე გათვალისწინებული უნდა იყოს თითო საწოლი.

(ე) საწოლის მინიმალური ზომები უნდა შეადგენდეს მინიმუმ 198 სანტიმეტრს - 80 სანტიმეტრზე.

ჯანმრთელობის დაცვა, სამედიცინო მომსახურება, კეთილდღეობა და სოციალური უსფრთხოების დაცვა

წევრი ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე პროფესიული უსაფრთხოების, შრომის ჰიგიენის და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკისა და პროგრამების მიღებ, ეფექტური შესრულება და ხელშეწყობა, ასევე რისკების შეფასება და მეზღვაურთა სწავლება და ინსტრუქტაჟი.

გონივრული სიფრთხილის ზომების მიღება გემზე პროფესიული უბედური შემთხვევების, ტრავმების და დაავადებების პრევენციის მიზნით, მათ შორის შესაბამისი ზომების მიღება, რომელიც მიმართული იქნება გარეშე ფაქტორების და ქიმიური ნივთიერებების სახიფათო დონეების არსებობის რისკების, ასევე იმ ტრავმებისა და დაავადებების რისკის მინიმუმამდე დაყვანისა და პრევენციისკენ, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას გემზე არსებ ული მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების გამოყენების შედეგად.

გემზე პროფესიული უბედური შემთხვევების, ტრავმების და დაავადებების პროფილაქტიკის, ასევე უსფრთხოებისა და შრომის ჰიგიენის მუდმივად გაუმჯობესების პროგრამები, მეზღვაურთა წარმომადგენლებისა და ყველა დანტერესებული პირის ჩართვით, პროფილაქტიკური ღონისძიებების, მათ შორის საინჟინრო-ტექნიკური და საპროექტო კონტროლის, კოლექტიური და ინდივიდუალური დავალებების გადასაწყვეტად წარმოდგენილი პროცესებისა და პროცედურების ჩანაცვლების და პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენების გათვალისწინებით; და

არაუსაფრთხო პირობების ინსპექტირებასთან, ანგარიშგებასა და აღმოფხვრასთან, ასევე გემზე პროფესიული უბედური შემთხვევების გამოძიებასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

კომპეტენტურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესიული უსაფრთხოებისა და შრომის ჰიგიენის დაცვის მართვასთან დაკავშირებული ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებდეს შემდეგ საკითხებს, კერძოდ:

(ა) საერთო და საბაზისო დებულებები;

(ბ) გემის სტრუქტურული მახასიათებლები, გემზე მისასვლელი საშუალებებისა და აზბესტის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების ჩათვლით;

(გ) მანქანა-დანადგარები;

(დ) ნებისმიერი ზედაპირის, რომელთან შეხება შესაძლოა ჰქონდეს მეზღვაურს, უკიდურესად დაბალი ან მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებების ეფექტები;

- (ე) გემის საცხოვრებელ და სამუშაო სივრცეებზე ხმაურის ზემოქმედება;
- (ვ) გემის საცხოვრებელ და სამუშაო სივრცეებზე ვიბრაციის ზემოქმედება;
- (ზ) გემის საცხოვრებელ და სამუშაო სივრცეებზე გარეშე საზიანო ფაქტორებით, გარდა (ე) და (ვ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტორებისა, გამოწვეული ზემოქმედება, თამბაქოს კვამლის ჩათვლით;
- (თ) სპეციალური უსაფრთხოების ზომები გემბანზე და გემბანის ქვეშ;
- (ი) დატვირთვა-გადმოტვირთვის მოწყობილობები;
- (კ) ხანძარსაწინააღმდეგო და ხანძართან ბრძოლის ღონისძიებები;
- (ლ) ღუზები, ჯაჭვები და ტროსები;
- (მ) სახიფათო ტვირთი და ბალასტი;
- (ნ) მეზღვაურებისთვის განკუთვნილი პერსონალური დამცავი აღჭურვილობა;
- (ო) დახურულ სივრცეებში მუშაობა;
- (პ) დაღლილობის ფიზიკური და გონებრივი ეფექტები;
- (ჟ) ნარკოტიკულ საშუალებებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულების ეფექტი (შედეგები);
- (რ) აივ/შიდსის პროფილაქტიკა და დაცვა; და
- (ს) გადაუდებელ სიტუაციებსა და უბედურ შემთხვევებზე რეაგირება.

10. თანამშრომლების საჩივრების განხილვის მექანიზმი

სსე-ს ადამიანური რესურსების (HR) დეპარტამენტმა შეიმუშავა და განახორციელა საჩივრების განხილვის მექანიზმი სსე-ს თანამშრომლებისთვის, სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვრებლად. საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნა სსე-ს შეთავაზებული კორპორატიული რესტრუქტურის ნაწილია. საჩივრების განხილვის მექანიზმი ძირითადი თანამშრომლებისთვის, ე.ი. სსე-ს თანამშრომლებისთვის, შეიქმნება პროექტის ეფექტურობის საფუძველზე.

სსე მოთხოვს კონტრაქტორებს შეიმუშაონ და განახორციელონ საჩივრების განხილვის მექანიზმი მათი თანამშრომლებისთვის, მათ შორის ქვე-კონტრაქტორებისთვის საპროექტო ეტაპის დაწყებამდე. მშენებელი კონტრაქტორები მოამზადებენ შრომის მართვის პროცედურას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, რომელიც ასევე მოიცავს თანამშრომლების საჩივრების განხილვის მექანიზმის დეტალურ აღწერილობას.

თანამშრომლების საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს შემდეგს:

- საჩივრების მიღების პროცედურა, როგორცაა კომენტარი / საჩივრის ფორმა, წინადადებების ყუთები, ელ-ფოსტა, სატელეფონო ცხელი ხაზი;
- საჩივრებზე რეაგირების განსაზღვრული ვადები;
- საჩივრების დროულად გადაწყვეტის აღრიცხვის და განხილვის რეესტრი;
- პასუხისმგებელი დეპარტამენტი, რომელიც მიიღებს, აღრიცხავს და განიხილავს საჩივრების გადაწყვეტას.

ზედამხედველობის კონსულტანტი მეთვალყურეობას გაუწევს კონტრაქტორის მიერ საჩივრების აღრიცხვასა და მათზე რეაგირებას და აღნიშნულს წარუდგენს სსე-ს სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ყოველთვიურ ანგარიშებში შესატანად. ამ პროცესს მეთვალყურეობას გაუწევს საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის (GRM) საკონტაქტო პირი, სსე-ს წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტთან დაკავშირებულ საჩივრების განხილვა/დაკმაყოფილების მექანიზმზე (GRM).

თანამშრომლების საჩივრების განხილვის მექანიზმი აღწერილი იქნება პერსონალის გაცნობით ტრენინგში, რომელიც ჩატარდება პროექტში დასაქმებულ ყველა პირს. აღნიშნული მექანიზმი დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პროცესი იქნება გამჭვირვალე და მომუშავეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ თავიანთი შეშფოთებები და წარმოადგინონ საჩივრები.
- საჩივრების წარმომდგენის მიმართ არ იქნება არავითარი დისკრიმინაცია და ნებისმიერი საჩივარი განიხილება კონფიდენციალურად.
- ანონიმური საჩივრები განიხილება ისევე, როგორც სხვა საჩივრები, რომლის წარმოშობა ცნობილია.
- ხელმძღვანელობა განიხილავს საჩივრებს სერიოზულად და მოახდენს დროულ და სათანადო რეაგირებას მათზე.

ინფორმაცია საჩივრების განხილვის მექანიზმის არსებობის შესახებ ადვილად ხელმისაწვდომი იქნება პროექტში დასაქმებული ყველა პირისთვის (ძირითადი თუ კონტრაქტით დასაქმებული პირებისთვის), განცხადებების დაფის, „წინადადებების/საჩივრების ყუთების“ და სხვა საშუალებების ხელმისაწვდომობით..

პროექტში დასაქმებული პირების საჩივრების განხილვის მექანიზმი ხელს არ უშლის მათ გამოიყენონ შრომის კოდექსით გათვალისწინებული შემათანხმებული პროცედურა.

11. შესყიდვების მართვა

დამპროექტებელი და მშენებელი კონტრაქტორების შერჩევის პროცესის ფარგლებში, რომლებიც დაასაქმებენ მუშახელს კონტრაქტის საფუძველზე, სსე-მ და/ან ზედამხედველობის კონსულტანტმა შესაძლოა განიხილოს შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია საჯარო ჩანაწერებში, მაგალითად კორპორატიულ რეესტრებში და საჯარო დოკუმენტებში, მოქმედი შრომის კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებით, მათ შორის შრომის ინსპექციისა და სხვა აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშები;
- საქმიანობის ლიცენზიები, რეგისტრაციები, ნებართვები და თანხმობები;
- შრომის მართვის სისტემასთან, მათ შორის OHS (ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების) საკითხებთან, კერძოდ შრომის მართვის პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- შრომის მართვის, უსაფრთხოების, ჯანდაცვის პერსონალის, მათი კვალიფიკაციებისა და სერტიფიკატების დადგენა/იდენტიფიკაცია;
- თანამშრომელთა სერტიფიკატები / ნებართვები / ტრენინგი მოთხოვნილი სამუშაოს შესრულების მიზნით;
- ჩანაწერები უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების დარღვევების და მათზე რეაგირებების შესახებ;
- უბედური და სიკვდილიანობის შემთხვევების შესახებ ჩანაწერები და შეტყობინებები შესაბამისი ორგანოებისთვის;
- ჩანაწერები მომუშავეების კანონიერად მოთხოვნილი შეღავათებისა და მათი შესაბამის პროგრამებში ჩართულობის დადასტურების შესახებ;
- ჩანაწერები თანამშრომლების სახელფასო უწყისების, მათ შორის ნამუშევარი საათების და მიღებული ანაზღაურების შესახებ;
- უსაფრთხოების კომიტეტის წევრების იდენტიფიკაცია და კრებების ჩანაწერები; და
- კონტრაქტორებთან და მომწოდებლებთან გაფორმებული წინა კონტრაქტების ასლები, რომლებიც მოიცავს ESS2-ის ამსახველ დებულებებსა და პირობებს.

შერჩეულ კონტრაქტორებთან გაფორმებულ კონტრაქტებში მიეთითება დებულებები შრომის და ჯანდაცვის და უსაფრთხოების შესახებ, როგორც გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის SPD დოკუმენტაციაში და საქართველოს კანონში..

ზედამხედველობის კონსულტანტი წარმართავს და მეთვალყურეობას გაუწევს კონტრაქტორების მიერ ხელშეკრულებით აყვანილი მუშახელის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას (ვალდებულებები, განცხადებები და გარანტიები). ეს შესაძლოა მოიცავდეს პროექტით გათვალისწინებული ლოკაციების და სამშენებლო ობიექტების პერიოდულ

აუდიტს, შემოწმებებს და/ან შერჩევით შემოწმებებს და შრომის მართვის ჩანაწერებისა და კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმებებს. კონტრაქტორების შრომის მართვის ჩანაწერები და ანგარიშები შესაძლოა მოიცავდეს: (ა) მესამე მხარეებსა და კონტრაქტით მომუშავეებს შორის გაფორმებული შრომითი კონტრაქტების ტიპიურ ნიმუშს; (ბ) ჩანაწერებს მიღებული საჩივრებისა და მათი გადაწყვეტის შესახებ; (გ) ანგარიშებს უსაფრთხოების შემოწმებებთან, მათ შორის უბედურ და ფატალურ შემთხვევებთან და გამოსწორების ზომების განხორციელებასთან დაკავშირებით; (დ) ჩანაწერებს ქვეყნის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევების შესახებ; და (ე) ჩანაწერებს კონტრაქტით მომუშავეებისთვის ჩატარებული ტრენინგის შესახებ შრომის და სამუშაო პირობების და ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების (OHS) განმარტების მიზნით.

12. ძირითადი მომწოდებლები

წყალქვეშა კაბელის ელექტროგადამცემი ხაზის ძირითადი მომწოდებლები იქნებიან წყალქვეშა ხაზების და კაბელების მწარმოებელი კომპანიები. აღნიშნული სექტორები, როგორც ცნობილია, არ მოიცავენ ბავშვთა შრომის და იძულებით შრომის მნიშვნელოვან რისკებს. შემსვები მასალების საჭიროების შემთხვევაში, ძირითად მომწოდებლებად ასევე ჩაითვლება ადგილობრივი კარიერები. ქვესადგურისთვის ძირითადი მომწოდებლები იქნებიან კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ელექტრო-გადამრთველ მოწყობილობას, ტრანსფორმატორებს და სხვა ძირითად ელექტროაღჭურვილობას. აღნიშნული სექტორები, როგორც ცნობილია, არ მოიცავენ ბავშვთა შრომის და იძულებით შრომის მნიშვნელოვან რისკებს. ადგილობრივი კარიერების გარდა, მოსალოდნელია რომ ძირითადი მომწოდებლები იქნებიან მსხვილმასშტაბიანი საერთაშორისო კომპანიები.

ადგილობრივი მომწოდებლების ჩართვის შემთხვევაში, კონტრაქტორებს მოეთხოვებათ ჩაატარონ კომპლექსური შემოწმების (due diligence) პროცედურა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მომწოდებლის მხრიდან ბავშვთა ან იძულებითი შრომის გამოყენების ან მუშახელისთვის სერიოზული საფრთხის შემცველი სამუშაოების შესრულების მნიშვნელოვანი რისკები. უცხოელი მომწოდებლების შემთხვევაში, კონტრაქტორს მოეთხოვება შესყიდვის პროცესში გამოიკითხოს არის თუ არა მომწოდებელი ბრალდებული ან სანქცირებული რომელიმე ზემოთ ხსენებული საკითხის გამო, ასევე მოიპოვოს ინფორმაცია ბავშვთა შრომასთან, იძულებით შრომასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კორპორატიული მოთხოვნების შესახებ. ბავშვთა შრომასთან, იძულებით შრომასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების არსებობის დადგენის შემთხვევაში, სსე მოამზადებს პროცედურებს ასეთი რისკების აღმოსაფხვრელად.